



საბერძნეთისა და სერბეთის რესპუბლიკებში საქართველოს საგანგებო და

სრულუფლებიანი ელჩის იოსებ ნანობაშვილის

მ ი მ ა რ თ ვ ა

ძვირფასო მეგობრებო,

ნება მომეცით, ტრადიციულად, წარმოგიდგინოთ ქ. ათენში საქართველოს საელჩოს მიერ, გასული სამი თვის განმავლობაში გაწეული მუშაობის შესახებ ინფორმაცია, ასევე, სამომავლო საქმიანობის ზოგიერთი მნიშვნელოვანი ასპექტი.

საბერძნეთში ქართულ ემიგრაციისთან დაკავშირებული საკითხების მოგვარება რჩება საქართველოს საელჩოს საქმიანობის პრიორიტეტულ მიმართულებად. ხსენებული მოიცავს როგორც საქართველოს მოქალაქეებისათვის ხარისხიანი საკონსულო საქმიანობის მიწოდებას, ასევე მრავალი წლის განმავლობაში დაგროვილი ემიგრაციული პრობლემების გადაჭრაში ხელშესახები პროგრესის მიღწევას.

#### საკონსულო საქმისწარმოება

საელჩო მუდმივად ცდილობს საკონსულო საქმიანობის სრულყოფას, რათა ჩვენმა თანამემამულეებმა სხვადასხვა მომსახურება კომფორტულ და მშვიდ გარემოში მიიღონ. უკანასკნელ პერიოდში, დიდწილად დარეგულირდა საკონსულო მიღებაზე ჩაწერის საკითხი და ჩვენი თანამემამულეები ადვილად ახერხებენ ვებ-გვერდის [geoconsul.gov.ge](http://geoconsul.gov.ge) საშუალებით დარეგისტრირებას, რაც გვამღებს შესაძლებლობას, თავიდან ავიცილოთ ე.წ. „ცოცხალ“ რიგში მდგომეზსა და დადგენილი წესით დარეგისტრირებულ მოქალაქეთა შორის კონფლიქტური სიტუაციები. აღნიშნულის გარდა, უახლოეს მომავალში, ვფიქრობ, დამატებით მოვახერხებთ რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხის გადაჭრას, რომლებიც ჩვენი თანამოქალაქეების მრავალწლიან მოთხოვნას უკავშირდება. ამ სიახლეების თაობაზე, ბუნებრივია, საელჩოს ოფიციალური ინტერნეტ-გვერდებით გეცნობებათ.

საკონსულო სამსახურის პრიორიტეტული საქმიანობა კვლავ იქნება საქართველოს მოქალაქეებთან დაკავშირებულ ინციდენტებზე ოპერატიული

რეაგირება და ამ კუთხით, მსურს, მადლიერება გამოვთქვა ჩვენი დიასპორის აქტიური წევრების მიმართ, მსგავსი ფაქტების შესახებ საელჩოს დროული ინფორმირებისათვის.

### საქართველოს მოქალაქეების ბინადრობის ლეგალიზაციის საკითხი

საელჩო აგრძელებს აქტიურ მუშაობას საბერძნეთში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების ბინადრობის ლეგალიზაციის ხელშეწყობაზე. 2 ნოემბერს, მიგრაციის პოლიტიკის სამინისტროში გავმართე მორიგი შეხვედრა, სამინისტროს გენერალურ მდივანთან ილიას კლაპასთან. შეხვედრაზე, ორივე მხარის მიერ აღინიშნა, რომ ათიათასობით საქართველოს მოქალაქისათვის ლეგალური ბინადრობის პრობლემის თანდათანობით გადაწყვეტა ურთიერთ-მომგებიანია, როგორც საქართველოსათვის, ასევე საბერძნეთისათვის. მწვავედ დაისვა ბინადრობის ნებართვაზე საქართველოს მოქალაქეების განაცხადების განხილვის ვადების საკითხი. აღვნიშნე, რომ განაცხადებზე პასუხები ხშირად წლობით იგვიანებს. ასევე, გამოვთქვი მზადყოფნა, გავაგრძელოთ ერთობლივი მუშაობა, რათა საბერძნეთის შესაბამის კანონმდებლობაში შევიდეს იმ სახის შესწორებები, რომლებიც არ გამოიწვევს საბერძნეთის კანონმდებლობის დრამატულ ცვლილებებს და ამავე დროს, გაამარტივებს საქართველოს მოქალაქეებისათვის ბინადრობის მიღების პროცესს.

გენერალურმა მდივანმა განმიცხადა, რომ საბერძნეთის საემიგრაციო პოლიტიკის ფორმირებისას მხედველობაში იღებს ქართული ემიგრაციისათვის მნიშვნელოვან ასპექტებს. მაგალითად, მიმდინარეობს მუშაობა ბერძნულ ოჯახებში დასაქმებულ პირთა ლეგალიზაციის გამარტივების საკითხზე. ასევე, იგი შემპირდა, რომ დამატებითი ყურადღება დაეთმობა საქართველოს მოქალაქეების მიერ შეტანილ განაცხადებს და რომ ამ განაცხადების განხილვის პროცესის დასაჩქარებლად, დამატებით 200 თანამშრომელი იქნება გამოყოფილი.

გენერალურმა მდივანმა აღნიშნა საქართველოს საელჩოს და საბერძნეთის შესაბამის სამინისტროებს შორის მჭიდრო თანამშრომლობა, რამაც მნიშვნელოვანწილად შეუწყო ხელი იმ ფაქტს, რომ 2017 წელს საქართველოს 1700-ზე მეტმა მოქალაქემ მიიღო საბერძნეთში ლეგალურად ბინადრობის ნებართვა, რაც ევროკავშირის ქვეყნებს შორის სარეკორდო მაჩვენებელია.

### საქართველოს მოქალაქეების საბერძნეთში ლეგალურად დასაქმების საკითხი

საანგარიშო პერიოდში საელჩომ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხის ინიცირება მოახდინა - დაიწყო კონსულტაციები საბერძნეთის შრომის, სოციალური უსაფრთხოებისა და სოციალური სოლიდარობის სამინისტროსთან, საქართველოს

მოქალაქეების საბერძნეთში ლეგალურად დასაქმების საკითხის დარეგულირების მიზნით, საქართველოსა და საბერძნეთს შორის შრომითი მიგრაციის შესახებ ორმხრივი შეთანხმების გასაფორმებლად.

13 ნოემბერს მინისტრთან ქ-ნ ეფი ახციოლლუსთან განვიხილე საქართველოსა და საბერძნეთს შორის ცირკულარული შრომითი მიგრაციის ორგანიზების და რეგულირების თემები. მინისტრს გადავეცი მისი ქართველი კოლეგის დ. სერგეენკოს წერილი, რომლითაც ბერძნულ მხარეს შევთავაზეთ ერთობლივი მუშაობის დაწყება, შესაბამისი ხელშეკრულების გასაფორმებლად.

ქ-ნ ახციოლლუსთან შეხვედრამ ოპტიმისტურად განმაწყო. მან ინტერესით მიიღო ჩვენი შეთავაზება და გამოხატა მზადყოფნა ერთობლივი მუშაობის დასაწყებად. ამ ეტაპზე, უკვე დაინიშნენ მეკავშირე ექსპერტები როგორც ბერძნული, ასევე ქართული მხარიდან, ხოლო საელჩო ყოველდღიურ რეჟიმში ახორციელებს მხარეებს შორის კომუნიკაციის კოორდინაციას. ეფი ახციოლლუმ ასევე სიამოვნებით მიიღო მისი ქართველი კოლეგის საქართველოში მოწვევა. იმედი მაქვს, საქართველოში ბერძენი მინისტრის ვიზიტს 2019 წლის პირველ ნახევარში განვახორციელებთ.

### ქართული ემიგრაციის პოზიტიური იმიჯის განმტკიცება

საბერძნეთში ქართული ემიგრაციის პოზიტიური იმიჯის განმტკიცებას უაღრესად დიდ მნიშვნელობა ენიჭება, როგორც ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების პოზიტიური დინამიკის შესანარჩუნებლად, ასევე ქართული დიასპორისათვის მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრის თვალსაზრისით.

საქართველოს საელჩოს მიერ ინიცირებულმა, Alpa TV-ის ორმა ვრცელმა სიუჟეტმა პირველად უპასუხა კითხვას, თუ ვინ წარმოადგენს ქართულ დიასპორას, რომელ სფეროებში ახდენენ ქართველები თვითდამკვიდრებას და აღწევენ წარმატებას, როგორ გახდნენ ისინი ბერძნული საზოგადოების განუყოფელი ნაწილი. კონკრეტული აქცენტია დასმული საქართველოს მოქალაქეთა საბერძნეთში ლეგალიზაციის პრობლემაზე და ეხება იმ სამუშაოებს, რომლებსაც საელჩო ბერძენ პარტნიორებთან ერთად აწარმოებს.

ჩვენს მიერ ინიცირებულმა სიუჟეტებმა ბერძნულ საზოგადოებას მიაწოდეს უაღრესად პოზიტიურად გაშუქებული ინფორმაცია, თუ როგორ მოღვაწეობენ ჩვენი თანამემამულეები ქართული კულტურისა და ენის შესანარჩუნებლად, რა საქმიანობას ახორციელებენ სამეცნიერო, საგანმანათლებლო, ხელოვნების სფეროებში, როგორ ინარჩუნებენ სამშობლოსთან კულტურულ და სულიერ კავშირებს, როგორ იღწვიან ჩვენი მომავალი თაობის ქართულ ტრადიციებზე აღსაზრდელად. გადაცემამ ასევე ხაზი გაუსვა იმ დიდ ენთუზიაზმსა და სითბოს,

რომლითაც საბერძნეთის ქართულმა დიასპორამ მონაწილეობა მიიღო 2018 წლის აგვისტოში ხანძრის შედეგების აღმოფხვრასა და საბერძნეთის დაზარალებული მოქალაქეების დახმარებაში.

### სხვა დიასპორული საკითხები

სასიხარულოა, რომ ღრმავდება საბერძნეთში მოქმედ დიასპორულ ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობა 2018 წლის აგვისტოში ხელმოწერილი მემორანდუმის ფარგლებში. მისასალმებელია, რომ საბერძნეთში ქართული დიასპორის ერთიანი ხმა შეუერთდა ქართული ემიგრაციისათვის მნიშვნელოვანი არაერთი საკითხის გადაჭრის პროცესს.

გასულ ნოემბერში, საბერძნეთის მასშტაბით 41-მა დიასპორულმა სუბიექტმა საგანგებო პეტიციით მიმართა საბერძნეთის მიგრაციის პოლიტიკის მინისტრს, ბატონ დიმიტრის ვიცასს. თავის მიმართვაში ქართულმა ემიგრაციამ იმედი გამოთქვა, რომ საქართველოსა და საბერძნეთის ურთიერთობების დინამიური განვითარება პოზიტიურად აისახება საბერძნეთში ქართული დიასპორის მრავალწლიანი პრობლემების გადაწყვეტაზე.

პეტიცია ხაზს უსვამს, რომ საბერძნეთში ქართული ემიგრაცია ყოველდღიური, მუხლჩაუხრელი შრომით ემსახურება როგორც საქართველოს, ისე საბერძნეთს, რომ საზღვარგარეთ მცხოვრებმა ემიგრანტებმა უნდა შეძლონ ფუნდამენტური უფლებებით სარგებლობა: თავისუფალი გადაადგილება, სამედიცინო მომსახურებისა და განათლების მიღება, ლეგალურად დასაქმება.

2019 წელს ვგეგმავთ, რომ თანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, ინიცირება გავუკეთოთ მემორანდუმის ხელმოწერილი ორგანიზაციების მასშტაბურ დიასპორულ კონფერენციას. კონფერენცია ორგანიზებულ იქნება ე.წ. პანელების სახით და თითოეულ პანელს წაიყვანენ თავად ქართული დიასპორის წარმომადგენლები. კონფერენციის პანელებზე განსახილველ თემებად შეიძლება განისაზღვროს ისეთი საკითხები, როგორცაა: საქართველოს მოქალაქეთა უფლებების დაცვის თვალსაზრისით არსებული პრობლემები, ქართველი ახალგაზრდების საბერძნეთში მოღვაწეობა, განათლებისა და კულტურის თემები, ლეგალური ბინადრობისა და დასაქმების პრობლემა, და სხვა.

ამჟამად, საელჩო, საქართველოს აღმასრულებელი და საკანონმდებლო სტრუქტურების შესაბამის პირებთან ერთად მუშაობს ამ კონფერენციის მოდალობებზე. მემორანდუმის ხელმოწერილი ორგანიზაციები, ბუნებრივია, აქტიურად იქნებიან ჩართული კონფერენციის მომზადებაში.

2018 წლის 14 ოქტომბერს, საბერძნეთის ქალაქ თესალონიკში შეხვედრა გაემართე ადგილობრივ ქართულ დიასპორულ ორგანიზაციებთან. წარმართა ღია და შედეგზე ორიენტირებული დისკუსია საელჩოს საქმიანობის სხვადასხვა მიმართულების შესახებ, საბერძნეთში ქართული დიასპორის კონსოლიდაციისა და სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვან საკითხებში ქართული ემიგრაციის ჩართვის საკითხებზე, საქართველოს მოქალაქეების საბერძნეთში ყოფნის ლეგალიზაციის პრობლემაზე, საქართველოსა და საბერძნეთს შორის ცირკულარული მიგრაციის ორმხრივი შეთანხმების გაფორმების პერსპექტივაზე და სხვა. შეხვედრის დასასრულს, ქ. თესალონიკში მოქმედმა 14-მა დიასპორულმა ორგანიზაციამ ხელმოწერით დაადასტურა საქართველოს საელჩოს მიერ 2018 წლის აგვისტოში ინიცირებულ თანამშრომლობის მემორანდუმზე მიერთების ფაქტი.

25 ოქტომბერს გაიმართა ქ. ათენის ქართული დიასპორული ორგანიზაციების ხელმძღვანელების შეხვედრა საქართველოს სახალხო დამცველთან ქალბატონ ნინო ლომჯარიასთან. საქართველოს სახალხო დამცველმა ქართული დიასპორული ორგანიზაციების წარმომადგენლებს გააცნო თავისი უწყების მუშაობის სპეციფიკა და დაინტერესდა ქართველი ემიგრანტების უფლებების დაცვის კუთხით არსებული პრობლემებით. მე, ჩემი მხრივ, ვისაუბრე იმ ძირითად ინსტრუმენტებზე, რომლებსაც საელჩო იყენებს საბერძნეთში საქართველოს მოქალაქეების უფლებების დასაცავად, მათ შორის: საბერძნეთის სახალხო დამცველთან, საბერძნეთის პოლიციასთან, საბერძნეთის მიგრაციის პოლიტიკის სამინისტროსთან, საბერძნეთის შრომის, სოციალური დაზღვევისა და სოლიდარობის სამინისტროსთან თანამშრომლობის მექანიზმები.

### საბერძნეთთან ურთიერთობები

2018 წელი ორ ქვეყანას შორის ურთიერთობებში ძალზე ნაყოფიერი გამოდგა. ჩვენ უზრუნველყავით როგორც უმაღლესი დონის ორმხრივი ვიზიტების ორგანიზება, ასევე სექტორული თანამშრომლობის გაღრმავება დარგობრივ სამინისტროებს შორის, ასევე, მოვამზადეთ კარგი საფუძვლები არსებული სამართლებრივი ბაზის გასაფართოებლად.

უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში აქტიურად ვთანამშრომლობდით საბერძნეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან, ასევე თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებთან, სხვა სამთავრობო უწყებებთან.

2019 წელს, ვგეგმავთ საქართველოსა და საბერძნეთს შორის მნიშვნელოვანი შეთანხმებების გაფორმებას, ორმხრივი პოლიტიკური კონსულტაციების მორიგი რაუნდის გამართვას, ასევე ევროკავშირის საკითხებზე ბერძნულ-ქართული

დიალოგის მორიგი შეხვედრის ჩატარებას და მთავრობათაშორისი ეკონომიკური კომისიის გამართვას.

განსაკუთრებულ პრიორიტეტად რჩება ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ბრუნვის გაზრდა, რასაც ბერძნულ ბიზნესთან ინტენსიური კომუნიკაციის გზით ვგეგმავთ.

საელჩო საგანგებო ყურადღებას უთმობს ქ. ათენის 50-ე საჯარო სკოლაში ქართული ენის შესწავლის პროექტის მიმდინარეობას. ძალზე გვახარებს ის ფაქტი, რომ აღნიშნულ პროექტს სულ უფრო მეტი ქართველი ბავშვი უერთდება. პროექტში მონაწილეობის მსურველთა გაზრდილი მოთხოვნის შესაბამისად, საელჩომ უკვე მიმართა საქართველოს შესაბამის სტრუქტურებს, პროექტისათვის ქართული ენის ახალი სახელმძღვანელოების გამოყოფის თხოვნით.

ასევე საგულისხმოა, რომ „საბერძნეთში საქართველოს ახალგაზრდა ელჩის“ კონკურსში გამარჯვებული ქ-ნი ლ. ჯანელიძე, საბერძნეთი-საქართველოს ახალგაზრდულ ასოციაციასთან ერთად, გეგმავს მოქმედი პროექტის გავრცელებას ქ. ათენის კიდევ ერთ საჯარო სკოლაში. ამ კუთხით, იგეგმება საბერძნეთში მყოფი ახალგაზრდა ქართველი პედაგოგების მოწვევა, რომლებიც ქართველ ბავშვებს მშობლიურ ენას უსასყიდლოდ შეასწავლიან. თუ რომელ საჯარო სკოლაზე გავცელდება მიმდინარე პროექტი, დამატებით გაცნობებთ.

აღსანიშნავი იყო 28 ნოემბერს, ქ. ათენში, ვებსტერის უნივერსიტეტში, საქართველოს საელჩოს ინიციატივით, უკრაინისა და მოლდოვას საელჩოების თანაორგანიზებით გამართული კონფერენცია-მრგვალი მაგიდა „Eastern Partnership Region – challenges and perspectives“. დისკუსიაში, გარდა უკრაინისა და მოლდოვას ელჩებისა, მონაწილეობა მიიღეს აშშ-ს, ავსტრიის, პოლონეთის, ფინეთის, ლიტვის, რუმინეთის, აზერბაიჯანის, ევროკომისიის ელჩებმა, დიპლომატიური მისიების არაერთმა წარმომადგენელმა, კვლევითი ცენტრების ხელმძღვანელებმა, საბერძნეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროკავშირისა და ნატო-ს დეპარტამენტების წარმომადგენლებმა, ვებსტერის უნივერსიტეტის, ასევე საბერძნეთის სხვა უმაღლესი სასწავლებლების ქართველმა, უკრაინელმა და მოლდოველმა სტუდენტებმა.

კონფერენციაზე აღინიშნა საქართველოს, როგორც რეგიონული ლიდერის როლი როგორც შიდა რეფორმების, ისე ევროკავშირთან ურთიერთობებში მიღწეული პროგრესის თვალსაზრისით. ხაზი გაესვა, რომ არაერთი სოციალურ-ეკონომიკური პარამეტრით საქართველო დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნებსა და თავად ევროკავშირის წევრ ზოგიერთ ქვეყანასაც კი უსწრებს. აღინიშნა რუსეთის ფედერაციის დესტრუქციული ქმედებები, როგორც რეგიონის უსაფრთხოებისათვის მთავარი საფრთხე და რეგიონის განვითარების მთავარი შემაფერხებელი ფაქტორი.

26 ოქტომბერს გაიმართა შეხვედრა ენერგეტიკის სექტორში მომუშავე მსხვილი ბერძნული კომპანიის „mytilineos“ დირექტორთან, ბატონ იოანის დესპრისტან. კომპანია დაინტერესებულია საქართველოს განახლებადი ენერჯის (ჰიდრო, მზე და ქარი) სექტორში ინვესტიციის განხორციელების პერსპექტივით. შეხვედრას წინ უძღოდა, საელჩოს მიერ, რამდენიმე კვირის განმავლობაში ჩატარებული წინასწარი სამუშაო, რომელსაც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდთან“ ერთად ვაწარმოებდით.

ბერძნული მხარისათვის ერთგვარი აღმოჩენა გახლდათ საქართველოს საგადასახადო სისტემისა და საქართველოში ბიზნესის წარმოების ზოგიერთი ასპექტი. 2019 წელს გაგრძელდება მუშაობა, კომპანია „mytilineos“-ის საქართველოში საქმიანობის დაწყების საკითხზე.

ასევე, მიმდინარეობს აქტიური მუშაობა კომპანიებთან „Franco Compania Naviera“ და „M/Maritime Corp.“, ბათუმი-კონსტანცას მიმართულებით სამგზავრო და სატვირთო გადაზიდვების განხორციელების საკითხზე. 2019 წელს საელჩო გააგრძელებს საქართველოს სამეწარმეო-საინვესტიციო პრეზენტაციებს ბერძნული ბიზნესის წარმომადგენლებისათვის.

30 ნოემბერს შევხვდი ქ. თბილისის „ევროპული სკოლის“ მოსწავლეებს, რომლებიც ქ. ათენს თემატური კონფერენციის ჩატარებისა და სხვადასხვა პრეზენტაციების გამართვის მიზნით ეწვივნენ. მოსწავლეები გაეცნენ საქართველო-საბერძნეთის და საქართველო-სერბეთის ორმხრივ ურთიერთობებს, მიიღეს ინფორმაცია საბერძნეთში ქართული დიასპორის შესახებ, დასვეს კითხვები საქართველოს საგარეო უწყების ფუნქციონირებისა და საქართველოს მიერ წარმოებული საგარეო პოლიტიკის შესახებ. „ევროპული სკოლის“ მოსწავლეები სისტემატურად და წარმატებით მონაწილეობენ კულტურულ-საგანმანათლებლო ფესტივალში „ოქროს საწმისი“, რომლის ორგანიზატორები არიან თსუ-ს კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტი და საბერძნეთის საელჩო საქართველოში.

ჩემთვის ძალზე სასიამოვნო გახლდათ ის ფაქტი, რომ 2018 წლის 28 დეკემბერს ახარნონის მუნიციპალიტეტის მერმა, ბ-ნმა იოანის კასავოსისმა დამაჯილდოვა საქართველოსა და საბერძნეთს შორის კულტურული კავშირების გაღრმავებაში შეტანილი წვლილისთვის.

სერბეთთან ურთიერთობები

4-8 დეკემბერს ქ. ბელგრადს ვეწვით 2018 წლის შემაჯამებელი ვიზიტით, რათა სერბ პარტნიორებთან ერთად განგვესაზღვრა მომავალი 2019 წლის სამოქმედო პრიორიტეტები.

შეხვედრებზე აღინიშნა 2018 წელს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობებში მიღწეული განსაკუთრებული პროგრესი: სერბეთის პარლამენტის პრეზიდენტის ორი ოფიციალური ვიზიტი საქართველოში, სერბეთის პრემიერ-მინისტრის პირველი ოფიციალური ვიზიტი საქართველოში, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი ოფიციალური ვიზიტი სერბეთში, ორ ქვეყანას შორის ვიზების გაუქმება, ერთობლივი ეკონომიკური კომისიის შექმნა, ორი ქვეყნის დედაქალაქებში პირველი დიპლომატიური ოფისების გახსნის გადაწყვეტილება და სხვა.

ამ მართლაც განსაკუთრებული შედეგების ფონზე, შევთანხმდით, რომ მიმდინარე წელს საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და სერბეთის ადმინისტრაციული რეფორმების სამინისტროს წარმომადგენლები ერთობლივად გახსნიან ქართული ანალოგის მიხედვით შექმნილ მომსახურების რეგიონულ სერვის-ცენტრს ქ. ბელგრადში, ასევე გაიმართება საჯარო ადმინისტრირების დარგში ქართველი და სერბი ექსპერტების სამუშაო შეხვედრა; ქ. ბელგრადში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობა გაიხსნება 2019 წლის მარტში; მომზადდება სერბეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, ვიცე-პრემიერ მინისტრის ი. დაჩიჩის ვიზიტი საქართველოში, ასევე მაღალი და უმაღლესი დონის სხვა ვიზიტები, ხელი მოეწერება ორ ქვეყანას შორის მნიშვნელოვან შეთანხმებებს.

ამავე პერიოდში, ქ. ბელგრადს სტუმრობდა საქართველოს პარლამენტის ევროინტეგრაციის კომიტეტის დელეგაცია კომიტეტის თავმჯდომარის თ. ხულორდავას ხელმძღვანელობით. აღინიშნა ევროკავშირის საკითხებზე საქართველო-სერბეთის დიალოგის მნიშვნელობა. ორივე მხარე მიესალმება მიმდინარე დიალოგისათვის საპარლამენტო მდგენელის შემატების ფაქტს.

ძვირფასო მეგობრებო,

2019 წელს დასახული მნიშვნელოვანი ამოცანების განხორციელებაში საბერძნეთში მყოფი ქართული ემიგრაციის გვერდში დგომა, როგორც ყოველთვის, ძალზე მნიშვნელოვანი იქნება. თქვენი მხარდაჭერა საგრძნობი პრაქტიკული შედეგის მომტანია. ვფიქრობ, ერთობლივი ძალისხმევით უკვე არაერთ სასიკეთო საქმეს ჩაეყარა საფუძველი. ამიტომ, იმედი მაქვს, 2019 წელს, ერთად შევძლებთ ჩვენი ქვეყნისათვის მნიშვნელოვან საკითხებში ხელშესახები პროგრესის მიღწევას.